

დ რ ღ ვ ი ბ

სულიპათებისა და დამატება

გაზეთის № 98.

სულიპათების, 6 მაისი 1910 წ.

დამატების № 18

გსევერვლი

დრამა 3 მოქმედებად, სოფლის ცხოვრებიდან.

(შემდგენ *)

მოქმედება მეორე


სოლ. იფ, იფ! რა ინდო-
ურია, რა ინდოური... აბა,
ყმაწვილებო, ეს სადღეგძლო
ხომ გაიხელით. ახლა „ამხა-
ნავებო, სმენა და გაგონება“.
ოს უკაცრავათ, ერთობის
ჭარბა დამკრა, შაპარიეთ დი-
დებული,—კინალამ ენამ არ
მიკივლა და არ წამოვიძახე,
პროლეტარიატიო... უკაცრა-
ვად, უკაცრავად... დიდებუ-
ლი სიყვარული,—ისევ პოე-
ზიამ გამიტაცა,—ის სიყვარუ-
ლი, რომელიც... რომელიც...
რომლითაც აღზნებული ვარ
მე... ე—ე, რაღა დროს ჩემი
სიყვარულია!.. ის სიყვარუ-
ლი, რომელიც მთელს ქვეყ-
ნიერების სიმშვინიერებს წარ-
მოადგენს, ის სიყვარული,
უკაცრაოდ ბატონებო, ტეტია
გლეხსაც კი გმირითა ხდის...
ის სიყვარული, რომელიც...
ერთი სიტყვით, თქვენ კარ-
გათ იცითრომელი სიყვარულიც... ის სიყვარული მაიძულებს
მე, ავწიო ეს ჭიქა და ვადლეგძლო ერთი მშვენიერება, რომე-
ლიც... კნიავნა სონა, რათა სწითლდებით? გაუმარჯოს
კნიავნა სონა! ბატონო ვასო, ალავერდი თქვენთან... .

ბოქ. იაღმი ოლ! ურა! (უკედანი ურას დამატებენ).

სოლ. ბატონო, ექიმო თქვენ, ლეინოს ვერაფერს ამ-
ნევთ? თოთქოს რაღაც სიმწარის გემო აქვს?..

ექიმი. დიახ, დიახ...

სოლ. მაგრამ... სუ... ჯერ, ჯერ დრო არ არის...
აბა, ყმაწვილებო, ერთი კარგი ჩვენებური სიმღერა, სიმ-
ღერა... (მდერნინ).



არჩისტი გ. ვ. გელაშვილი-შილალიანი.

25 წლის იუბილეის გამო,
(იუბილეი გადახდილი იქნება სულიპათების, 6
მაისს საარტისტო საზოგადოების თეატრში).

ნუ მომიკლავ შვილს... მე მომქალ... კნიაზებო, არ გებ-
რალებით?.. დედის ერთა მყავს, მეტი არავინ მაბადია...
თქვენი კირიმეთ, რას მერჩით, რა დაგიშავეთ, რათ წამარ-
თეთ ჩემი თვალის სინათლე?.. (კნიაზის) ქალბატონო, შენი
კირიმე, მიშველე... უიმე შვილო!..

ბოქ. დედაკაცო, აქ რა გინდა? რა დროსია?

ბარბ. ეგ უბედური ვანჭას დედა...

სოლ. დედაკაცო, (მიუახლავდება შარიაში) ადე, ადე!
აბა აგრე როგორ შეიძლება!.. დამშვიდლი. (აყენებს).

ნიკ. რა უბედურებაა, მთელ სოფელში ნუ თუ ვე-
რავის შეეძლო უური ეგდო ამ უბედურისთვის?! (კქიმიც
მიუშველება სოფელში).


*) იხ. სურათებისა დამატება № 17.

ექიმი. (ბარბარეს) კარგა კი
დაგენინდი, გზაში დამილამ-
დება...

ბარბ. რა გეშურებათ, ამა-
ღამ დარჩით...

სოლ. თქვენ კარგათ მოგე-
ხსენებათ, რომ ჩვენი შომა-
ვალი, ჩვენ ახალგაზღობაზე
დამოკიდებული... ჩვენ დავ-
თესთ და დაე მაგათ მომ-
კონ... იმის კი რა მოგახსე
ნოთ, კარგი თესლი ვიხმარეთ
თუ ცული. მაგრამ თუ ნია-
დაგს კარგათ მოამზადებს ჩვე-
ნი ახალგაზღობა, მაინც მო-
სავალს კარგს მოიყანს...
ოლონდ ერთათ იბრძოლონ,
ერთათ იყვნენ და ი მეც
ერა ჰიქაში ვაქცევ მათ სად-
ლეგძელოს... ყმაწვილებო,
იცოცხლეთ, გაგიმარჯოთ!..
(უმაწვილები უკედანი წამო-
დებიან, თავს უკრავენ. უკედანი
მათ სადღეგძელოს სემენ, ელე-
ნეს მთაქვეს ტებილი, მდერნი.
მაცცენა მხარედან უცბად გა-
მოჩენდება თმა გაწეწილი მარია-
მი, თითქმის მირბის ბაღის კარე-
ბისენ. შეგა და დაეცემა მუხ-
ლებზე. სიმღერა უცბად შეს-
წედება, ზეგა ფეხზე წამოსტე-
ბა. სონა დაიწივლებს).

ბარ. (ბარბარეს) მიშველე,
შენი მუხლების კირიმე, ნუ,



ართისტი გელევანოვი სხვა და სხვა როლში.

ექიმი. დამშვიდლი... ერთი ჭიქა ღვინო ჩაგულაპოთ... (აწვდიან დვინოს, თითქმის ძალით ასმევს ექიმი დვინოს). და-
ლიე, დალიე, ღმერთი მოწყალეა... იქნება შენ შვილს
უშველოს რამე...

მარ. ვაიმე, შვილო! ვაი შენს დედას!.. (გამოხნდებიან
შაშასახლისი და ფრი გლეხი).

ბოჭ. (შაშასახლისი) რისთვის გამოუშვით, უურს ვერ
უგდებდით! რა დროს აქ მოსვლა იყო მაგისი... წაიყვანეთ,
მიუყენე ვინმე! არავინა ჰყავს, მოუაროს?

მამ. მთელი სოფელი უვლის, შენი ჭირიმე, ე ხალხი
ჯერ-ჯერობით უურს უგდებს, მაგრამ გამოგვეპარა... ცოტა
ჰკუზედაც აირია... (მივდენ შაშასახლისი და ფრი გლეხი. მოჭ-
კიდებენ სედს და მიჭებთ).

მარ. შვილო, ვანო, ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო!

ვის რა დაუშავე, შენ გენაცვალოს ჩემი თავი! მე რაღა
ვქნა... სად წავიდე, ვაიმე შვილო! (გაფლენ შაშასახლისი, თრი
გლეხი და მარიამი. სონა ტირის. ბარბარეს ხელფახოფი აქვს მითა-
რებული თვალებზე, სოლომონს თავი აქვს ჩაღუნელი, ექიმი
აქეთ-იქით დადის. სხვები გაშტერებული არიან).

ბარბ. სონა, სონა, კარგია, შვილო... ნერვები სრუ-
ლებით აგეშლება და მერე ავათაც გახდები, ეგლა გვაკლია...

ბოჭ. კნიაქნა, რა მოგვიდათ?! უკელაფერზე რომ ვა-
რე გული გაიხეთქოთ, როგორ შეიძლება...

ნიკო. რაღა სწორეთ ეხლა მოუნდა მოსვლა მაგ უბე-
დურს... სულ კი ჩაგვაშხამა საღილი...

სოლ. მაგ უბელურს მთელი სიცაცხლე ჩაჭამდა, რა
ქნას დედაა...

ბარბ. ბატონებო, იქნებ სჯობდეს ოთახებში აფიდეთ... ტკბილიაც და ყავასაც იქ მოგართმევთ... ცოტათი აგრილი და კიდეც (უველავი მიღიან სახლისენ, უველაზე უკან სინა და ბოჭული მდინას).

ნიკო. (კარებიდნ) ელენე, ლვინო, ტკბილი და ყავა, აბა ჩქარა, იქ მოგვართვი! ბიქს უთხარი, ლიმბორნი სტოლი გაშალოს... საქუასთან გააქციე, ორა კალადი კარტი გამოგზავნეთქმ!

ელენე. ბატონი ბძანდებით... აი ეხლავ სტოლს ავალაგებთ...

ბოქ. ოხ, ეგ თქვენი ცრემლები!.. მაგ შშვენიერს თვალებს სულ გაიფუჭებთ...

სონა. არ შემიძლიან მაგისთანების დანახვა... ეხლა მთელი ლამე სიმარში მომელანდება (შეღიან).

ელენე. ბიჭი, ბიჭი, მოდი ჩქარა აალაგე... მოესწრობი გაძლომას...

თედო. (გამოდის სამზარეულოდან) პურიც აღარ შევჭამო, თუ როგორ არი...

ელენე. მოესწრობი... დაუძახე ლუკასაც... ჩქარა უნდა აყალავოთ სტოლი. (თედო შევა სამზარეულოში). გამოდიან დაუკა ჩხხაშვილი და თედო, სტოლს აადაგებენ და წაიღებენ სამზარეულოში).

ელენე. (თედოს) გაიქე ჩქარა საქუასთან... ორი კალოდი კარტი გამოგზავნეთქმ... (დუქას) მე ტკბილსა და ყავას მივართმევ... ლაპტებიც უნდა ავანთო... (წავა. დუქასა და ჩხხაშვილს შექვეთ ჭურჭელი სამზარეულოში). თან და თან ბნებდება. ზევით სართულს გაანათებენ. ისმის რთადის ხმა, შერე დაირა და ცაში. რამდენჯერმე ისმის: „ბრავო, ბრავო!“ შემდეგის სცენის განმავლობაში ისმის დხხინი და სიმდერა. რამდენსამე ხანს სცენა ცარიელია. შემოდის თედო და ადის ზევით სართულში. გამოყლენ დუქა და ჩხხაშვილი. დუქას ხელში აქვთ ხელადა დეინო და რაღაცები ხელცახცოშა შეკრული).

ლუკა. წამოდი ერთი ჩქენც ცოტა გისიამოვნოთ... ქვევით დიდ თუთასთან დავსხლეთ... წმინდა ჰაერზე სული მაინც ამოვისუნთქოთ...

ჩხხაშ. პრისტავმა რომ დამისახოს?

ლუკა. გავიგებთ, თედოს გამოგზავნიან, ემალვეა... ძრიელ მიყვარს ის ალაგი... მებალეც იქ ახლო დგას, ისეთი კაი ბიჭია... (მადიან ბადში და შერე გავლენ). შარცენა შესით შემთბას ნატო, ნელ-ნელა იპარება, სანდისხან შესდგება ხთლები).

ნატო. აღარ შემიძლიან... ველარ გავძლებ... რაც იქნება, იქნება... ლხინი აქვთ, უხარიანთ, უფრო კარგი: შევალ და უცრათ, დაუყვირებ... ამ ტანჯვას ვერ იუვალ... სჯობს ერთბაშათ გათავდეს საქმე... (მიუახლოება სამზარეულოს) გადარაზულია, არავინ არ არის, ღმერთო. შენ მიუველე... (სამზარეულოს კუთხიდან ერთბაშად გამოგა გიგშა და ნატოს მიგარდება).

გიგო. აი სად ყოფილხარ! გეგონა, გამომეპარე, მაგ რამ მე ფეხ და ფეხ მოგდევდი... აქ რა გინდა?! რისთვის მოხვედი? წამოდი ჩქარა, არავინ დაგვინახოს!.. (მიშევას ძალით. ნატო არ მისდევს).

ნატო. გამიშვი, თორემ არ ვიცი რას ვიზამ. აღარ შემიძლიან... უნდა ავიდე იქ... ვეტყვი, დაუმტკიცებ, რომ თოფი მე მივეცი, რომ ის კაცი დამნაშავე არ არის!..

გიგო. რას მიედ-მოედები, რასა როშავ?! მერე მაგითი რას უშველი? გაანთავისუფლებ იმას?

ნატო. ჩემ ცოდნს ავიხსნი... სიმართლეს ვიტყვი... დავარწმუნებ რომ ის კაცი დამნაშავე არ არის...

გიგო. სულ გადაირე, აღარა გეშმის რა... ან და რა შენი საქმეა ეგ... შენ რა იცი, ჩქენში საქმე როგორ იყო?

მერე არა გკიოხავენ, შენ ვიღამ მოგცა თოფიო?

ნატო. ნუ გეშინიან, შენ არ გაგცემ... ვეტყვი ვიღამ უცნობმა მომაბარა მეთქი...

გიგო. აბა რას აკაუნებ, რას! იმდენათ ტუტუცი ხარ, რომ ვერა გაიგიარა... მერე მაგითი გაანთავისუფლებ იმას? კაცმა თითონ უთხრა, მე მოვკალიო, თითონ უჩვენა თოფი... ფულიც... თითონ უჩვენა, თითონ, ძალის ხომ არავინ ატანდა, ახლა შენ რას დაკიჯერებენ? მარტო მე და შენ თავს დაღუპამ და იმას კი ვერას უშველი... განა შველა რომ შეიძლებოდეს, მე თითონ არ უშველიდა... წამოდი, ნუ სულელობ!

ნატო. გიგო, თუ გიყვარვარ... თუ გინდა, რომ მე... მე... არა აუტეხორა ჩქმს თავს... დაიფიცე, დაიფიცე, დედიშენის საფლავი დაიფიცე, რომ ვანუ მართლა მკვლელია... გახოვ, გვეცლები დამაჯერე ამაში...

გიგო. მე... მე რა ვიცი... მაშ თითონ რათ დაბრალებდა? და ან რა შენი საქმეა ევ? კიდეც რომ ვიცოდე რამე, მე ვერაფერს ვერ ვატყვა...

ნატო. მაშ ის მაინც მითხარი, თოფა ვან მოგცი?..

გიგო. ვერც... ვერ კ მაგას გეტყვა... რას ჩამაცივდი, რა შენი საქმეა! წამოდა! ხომ გეუბნება, რომ იმას ვეღარ უშველი და მარტო დაგვლუპამ... (ძალია შიგეავს თითქმის! გაფლენ).

ფარდა.

ი. გედეგანიშვილი.

(შემდეგი იქნება)



კ ე მ მ ე ნ ი.

დანიშნულ ადგილს ცრემლთა მთოველი
პირობისამებრ დღესაც მოველი.

*

შენ არ სჩანდი,
დაპგვიანდი,
მე კი ბუჩქნარს ცრემლით ვბანდი.
ვფიქრობ: თუ რად,
უგუნურად
რად მოვაწყე ასე საქმე?
ან რად მოველ დღესაც აქ მე?
რისთვის და რად?—
თუ კი არად
მივაჩნივარ... სცრულს მარად?

*

ახ, რად არ ვიგრძენ, რომ გარდი თეთრი,
ჩემთვის ყოველთვის ცივია... მკვეთრი?!

ი. გრიშაშვილი.



ტ ე რ ი ტ ე ბ ი

კ. ტეტრიცხავა.

ერთხელ ვიზილე წეროები... გუნდათ მიფრინავდნენ
აღმოსავლეთისაკენ.

ეს იყო შემოდგომის სალამოს. მზე ჩიდიოდა. ჰერში
სასიამოვნო ხმები გაისმოდა. წეროები მიფრინავდნენ მწყობ-
რად, თავისუფლად. ხან მიფრინავდნენ დაბლა, ხან კი უაზ-
ლოვდებოდნენ მთის წვეროებს, რომელნიც ჩამავალ მნათო-
ბის სისხლის ფერ სხივებში უკანასკნელად გახვეულიყვნენ,
მაღლა იწევდნენ და შავი წერტილებივთ მოსჩანდნენ...

დიდხანს უუცქეროდი. გულს სევდა თან და თან მაწვე-
ბოდა, სანამ არ მიეფარნენ თვალთაგან...

არ ვიცი რად, მაგრამ მომეჩვნა, რომ ისინი გზას დაჭ-
კარგავენ ზღვაზე, აირევიან, დაიღუპებიან და უკან აღარა-
სოდეს აღარ დაბრუნდებიან...

იქ, სადღაც, ცივ სიკრცეში მიფრინავდნენ ისინი
ისე დაღვრემილნი, სევდით მოცულნი, მოწყვეტილნი,
თითქოს თვითონვე ჰერძნობდნენ, რომ ჩვენთან არასოდეს
აღარ დაბრუნდებოდნენ. არასოდეს...

არასოდეს... რა მძიმეა, რა გულის დამწყლულველია ეს
სიტყვა. სიტყვაში უფრო მეტი სევდა გამოისმის, ვიდრე
გაბზარულ თარის დანერრეულ ხმაში. იგი უფრო კაე მნის
მომგვრელია, ვიდრე გულის მომწყველელად, სევდიანად მო-
ზუზუნებიან...

ამ სიტყვაში გაისმის ვედრება ხისაც,
რომელსაც სკრიან და რომელსაც უკა-
ნასკნელად შეუშერია თავისი კენწე-
რო მხურვალე მზისაკენ თითქოს შველს
სთხოვდეს, მასში გამოკერთის მომ
აკვლავის საბრალოდ გამომზირალე თვა-
ლიც...

რაღა ჰქმნას კაცმა, რომელსაც
ძვირფას, საყვარელ, სანეტარო რამის
იმედი ეკარგება, მიფრინავს იმისგან,
როგორც წეროები, რომელნიც, არ
ვიცი რათ, ვფიქროდი, რომ დაკარ-
გავნ გზას, დაიბნევიან და არასოდეს
ჩვენთან აღარ დაბრუნდებიან, არასო-
დეს...

სანგანიძე.

ს ე რ ი ტ ე ბ ი...

—:

და დართოლდეს ხელი მგოსნია:
სიმართლის ჩანგმა ამოიგმინოს;
და ხმა ნარჩარი გაშლილ მიდამოს
ნათელ სხივებად გადაეფინოს...

—:

და დაჭყეფოს ბულბულმა ვარდთან,
ველზედ ყვავილ მა სუნი აკმიოს;

გრილმა ნიავმა ფრთა ფრთას შემოჰკრან, ბუჩქი ობოლი ოდნავ არხიოს.

—:

და დასკექოს ავმა გრიგალმა:
ცად აღმართული მთა შეარყოს;
და მუნ ვეშაპის ამაყი ბუდე
შავია უფსკრულში გადმოანგრიოს!..

—:

დე ქარიშხალმა ქვეყნის ზურგიდან,
აღგაოს კაცთა ავი ზნეობა;
გააცამტვერ ს ნათესი ღვარძლი:
არა რაობა, პირ მოთნეობა,—


—:

რომ კვლავ აღშენდეს ძველ ნანგრევებზედ,
წმინდა სიმართლის, შეების ტაძარი,
და ღვთაებრივმა სხივმა მოქარეოს
აყვავებული მდელო, მთა, ბარი! ..

ს. ფაშალიშვილი.



ეძსაურსია ფასვლის დროს.



ეძსაურსია დაგრუნების დროს.